# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . | 3 აბაზი |

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 110

წელიწადი მეორე

1913

შაბათი, 27 ივლისი.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И".

ტელეფონი № 149.



...ოლამპეულის, ჭურჭლეულო-
...ა, ავეჯეულობის და შპალერის
ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

...ოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათვალე სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ია... საფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი სათვალე ნივთები, აუწერელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თო... შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

**პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.**



...იიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

...წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**...ნცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს ... შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

...ზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მი...მართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ редакція газеты „И М Е Р Е Т И"**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

**ქუთაისი.**

პაებზე დამყარებული ამხანაგობა

**კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.**

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა

**და ზაფხულის სეზონი**

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

...ისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხე... მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის და... ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.



## ახალი გამოგონება მეცნიერებაში

...ერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

**ახალი სითხე უაკმენის ႮႮ**

...ესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ძლურული ...ისში საწყობი და ნარდი გაყიდვა ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**



...ლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

## „შოთა რუსთაველი და მისი პოემა"

...ექნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუს...ის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

...ების წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამლიერებლათ.

აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.



## თფილისის მეორე რვაკლასიანი

**...ᲠᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ** ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ **ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| „ „ | 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| „ „ | 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.



## ...ლთა პროგიმნაზია

**მარიამ კვინიხიძის ასულისა**

...იმავე თფილისის ქუჩაზე ობოლინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

...წავლეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.



## 1911 წლიდან ცაგერში

(ლეჩხუმის მაზრა) გახსნილია

## სამოქალაქო სასწავლებელი

მისაღები გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვიდან ამა 1913 წლისა. თხოვნები შეიძლება ადრე იქნას გამოგზავნილი ინსპექტორის სახელზე.



## ქ უ თ ა ი ს ი ს ს ა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ო

## სემინარია,

რომელიც არსებობს დაბა ხონში, ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 25 რიცხვიდან.

**ამ რიცხვს მოხთება გაშინჯვა შემომსვლელთა ჯანმრთელობის მხრით, და შემდეგ გამოცდიან ცოდნაში.**

თხოვნები საბუთებითურთ უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს თუთხმეტი მარიობისთვისა.



## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყო-ფი

## საბუღალტერო კურსები

**გ. გ. გოკიელიშვილისა.**

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)


## დ ე პ ე შ ე ბ ი.

ცნობაა—ოსმალები და ბერძნები ფრაკიაში ბულგართა მცხოვრებლებს აწამებენო.

— მეომარ მოკავშირეთა შორის ზავი შეიკრა.

— ბულგარლები უარყოფენ ვითომ მათ ბრძოლაში 30 ათასი კაცი დაეკარგათ.

— ათინას მივიდა ტრანსპორტი, რომელმაც ბულგარლებისაგან წანართმევი სამხედრო სურათი მიიტანა.

— იტალიური გაზეთი „ტრიბუნა" საფრანგეთის პრესის საყურადღებოთ სწერს: ის ცნობა, რომ იტალიას კავალის დატოვება ბულგარეთისთვის უნდოდეს, მართალი არ არისო.

— ბუქარესტში გერმანიის ელჩმა ბულგარეთის ელჩის პატივსაცემლათ სადილი გამართა.

— ლონდონში საერთაშორისო აქიმთა კრება გაიხსნა.

— პეტერბურგში ვასილიევის ხე-ტყის ქარხანა დაიწვა. ზარალი 200 ათასი მანეთამდეა.

— „დენში" დაბეჭდილია გარდაცვლებული მწერლის სოლომონის ინტერვიუ ს. ვიტესთან. ვიტეს უთქვამს: 1905 წ. 9 იანვარს ხალხის გარეკა ჩემს დაუკითხავათ მოხდაო.

— ნიჟნედნეპროვსკის რკინის გზის სამკითხველოში ადმინისტრაციამ პუშკინის, ნეკრასოვისა და ნიკიტინის თხზულებები აკრძალა.

— კავალის ბედს დიდი სახელმწიფოთა კონფერენცია გადასწყვეტს.

— გერმანია უარყოფს იმ ცნობას, ვითომც ის რუსეთს ემუქრებოდეს სომხეთის ალების გამო.


## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.**

გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.



**შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**ა ქ ი მ ი** **კ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



**გაზეთი „იმერეთი" იყიდება** მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.


— განზრახულია რუსეთში ფოშტა-ტელეგრაფის სამინისტრო დააარსონ.

— მაქსიმ გორკი მძიმე ავათაა.

— ვილონში დააპატიმრეს სამხედრო მწერალი, რომელსაც განზრახვა ქონდა გერმანიისთვის მიეყიდა რუსეთის სამობილიზაციო პლანი.

## ქართული პრესა.

„თანამედროვე ქვეყნის" მესვეურნი არა ჩვეულებრივი ინტერესით ეპყრობიან ამასწინათ ქუთაისში მომხდარ საბანკო არჩევნებს. თვით მათ უხუცეს ბ-ნ ნარიძესაც კი ხმა ამოაღებია ამ საკითხმა; მან ერთხელ კიდევ „ახადა ფარდა" ფედერალისტების „ბნელთა საქმეთ", გამოამჟღავნა მათი ლტოლვილება „თფილი ადგილებისაკენ, ხოლო თვით ვეფხის ტყავი წამოისხა და თავისი და თავისიანების მდგომარეობა ტყეს გაჭრილ ტარიელის ხვედრს დაადარა. აქ შესაფერისი ხანაც მოიყვანა „ვეფხის ტყაოსნიდან". თუ როგორ დაამშვენებს ტარიელის ვეფხის ტყავი ჩვენებური ესდეკების მეთაურს, ეს თვითონ მკითხველ ა გასაჯოს, ჩვენ კი ამ სურათის დანახვაზე ერთი პირუტყვი და უნაგირი უფრო გვაგონდება.

გუშინდელი მეპრესე ბანს აძლევს თავის მესვეურს იგი სწერს:

ჩვენ შეურყეველი ფაქტებით აღჭურვილი, ვამტკიცებდით, რომ ფედერალისტებმა ბანკის ადგილების ხელში ჩასაგდებათ ბლოკი შეკრეს დ. ი. ნიჟარაძესთან, რომელსაც წინეთ ქვეყნის მტერს და ორგულს უწოდებდენ, და ამით ცხად ჰყეს, რომ მათ აინტერესებთ მხოლოდ თბილი ადგილები და ამისთვის მზათ არიან ყველაფერი დაივიწყონ, მზათ არიან ბანკის ქონება შენსიების და „პოსობიების“ სა, ხით დაარიგონ, მზათ არიან შეუკავშირდენ მემარჯვენე ან. ერისთავს და ის თავის წარმომადგენლათ დანიშნონ!

თუ ბატონ მეპრესის მიერ ლიტონ სიტყვების წამოსროლას დამტკიცებას არ დავარქმევთ, სხვა საბუთი ფედერალისტების თ-დ ნიჟარაძთან ბლოკის შეკვრის არავის წარმოუდგენია და ვერც წარმოადგენს, რადგან მზგავსი არაფელი ყოფილა. ფედერალისტებს არავისთან და მით უფრო თ-დ ნიჟარაძესთან ბანკის არჩევნების დროს ბლოკი არ შეუკრავთ და ვერც შეკრავდენ, რადგან ხსენებული პარტია საბანკო არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა. არც დიდი პოლიტიკური საასპარეზოა თავად-აზნაურთა ბანკი, რომ იქ პარტია გამოსულიყო და ბლოკები შეეკრა ვისმესთან. ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მომხრე მხურვალე მონაწილეობას იღებს როგორც ბანკის ისე სხვა საზოგადოებრივ ხასიათის მქონე დაწესებულებაში: ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს ცოდვათ არავინ არ უნდა ჩაეთვალოს, მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ გაიგონ ჩვენმა მოწინაალმდეგეებმა, რომ ზემოხსენებული პირთა საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობა ერთი საქმეა, ხოლო პარტიის პოლიტიკური ბრძოლა კი სულ სხვა.

მათ არსად არც ერთ საზოგადო დაწესებულებაში პარტიის სახელით აუ უმოქმედიათ და ვერც იმოქმედებენ, რადგან ამის უფლებაც არ ქონდათ.

ეს კარგათ ესმით ჩვენს მოწინაალმდეგეებსაც, მაგდამ, თუ მაინც ასეთი სიცრუით უმასპინძლდებიან მკითხველებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ წინაალმდეგ ბრძოლაში ყველა საშვალების ხმარება ნება დართულია.

ეს უცნაური ლოღიკის პატრონი ხალხი შემდეგ პრინციპს ახორციელებს: გალმა შეედავე და გამოღმა დაგჩება. რომ ეს ასე არ იყოს, განა ჩვენ გვიკიჟინებდენ დ. ნიჟარაძესთან ბლოკი შეკარითო, როდესაც მთელი სათათფიროს საარჩევნო კამპანია ნიჟარაძესთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გაატარეს. თუ ჩვენ შევუკავშირდით დ. ნიჟარაძეს ეს კარგია, ხოლო თუ ჩვენი მოწინაალმდეგენი ამასვე იქმენ—ცუდია—ეს ბატონებო ბუშმენის ლოღიკაა.

# იუსტიციის მინისტრის ახალი პროექტი.

რუსეთის მართველი წრეები ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამ ბოლო ხანებში გავრცელებული „ხულიგანობით“ და ცდილობდენ შეიმუშაონ ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც ხულიგანთა თარეშს ალაგმავს და ბოლოს მოუღებს. თუ არა ვსცდებით პირველი მაგალითი მართველ წრეებს პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა დრაჩევსკიმ მისცა, რომელმაც, დიდი ხანი არაა, ხულიგანთა წინაალმდეგ სავალდებულო დადგენილება გამოსცა. ამჟამათ შინაურ საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა გუბერნატორებს ცირკულიარი და იუსტიციის მინისტრის მიერ შემუშავებული პროექტი დაუგზავნა, რომელიც ვითომ ხულიგანთა წინაალმდეგ არის მიმართული, მაგრამ არსებითად იგი ნამდვილ ხულიგანებს გვერდს უხვევს და ამ მართლაც საზოგადოების მავნე წევრთ უყურადღებოთ სტოვებს. პროექტში აღნიშნულია თუ რა გვარი სასჯელი უნდა მიაყენონ მას, ვინც: 1) ადგილს ვერ შოულობს და უსაქმოთ დაეხეტება, 2) სხვის ოჯახში დაუპატიჟებლათ მიბძანდება, 3) სახეს ან სხეულის რომელიმე ნაწილს უმახინჯებს სხვა პირს, 4) საზოგადო შეკრებილებაში მთვრალი მიდის, 5) სხვას სიკვდილით ანთავისუფლებს შეზღუდვით ემუქრება, და სხ. მაგრამ ნამდვილ ხულიგანზე კი არაფერია ნათქვამი. ხულიგანობამ რუსეთში მოძრაობის წლებს აქეთ წამოყო თავი მეტის სიძლიერითა და სიმწვავით. მას შემდეგ რაც რუსეთში ეგრეთწოდებული „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციები გაჩნდა, ხულიგანობა თანდათან იკიდებს ფეხს. რუსეთის პროგრესიულ ნაწილსაც სწორეთ „ჭეშმარიტ რუსთა“ მესვეურნი, ეს რეაქციის პირმშონი ჰყავს ხულიგანებათ მიჩნეული და მართლაც მათი საგმირო საქმენი მოურეცხელ ჩირქს სცხებს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ვინ არის არსებითად ხულიგანი და ვის წინაალმდეგ არის იუსტიციის მინისტრის მიერ შემუშავებული პროექტი მიმართული? გაიხსენეთ კიშინევის პაგრომები და ნათლათ გაარკვევთ თუ ვინ არის ხულიგანი, გაეცანით ბელასტოკში მომხდარ ებრაელთა ხოცვა-ჟლეტას, აწიოკებას, დარბევას და წარმოდგენილი გექნებათ თუ რომელი პლანეტიდან არიან გადმობარგებული ხულიგანები, თვალი გადაავლეთ ადესაში ტოლმაჩევის მიერ გამეფებულ რეჟიმს, მის მესვეურთ და თქვენ ნამდვილ ხულიგანებს იხილავთ... მაგრამ ან მაშინ, ან ახლა რომელიმე მინისტრთაგანს არა თუ გამოუცია რამე ცირკულიარი, აბა თუ შეუმუშავებია რამე პროექტი მათ წინაალმდეგ და ან თუ მიუღია რამე ზომები? პირი იქით, რუსეთის პროგრესიულ ორგანოებს არა ერთი და ორი მაგალითი გამოუქვეყნებიათ „ჭეშმარიტ რუსთა“ საგმირო მოღვაწეობის მატეანედან, მაგრამ ყოველივე ეს იყო, „ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“ და მეტი არაფერი. ან კი როგორ შეიძლებოდა რაიმე რეპრესიული ზომებისთვის მიემართათ მათ წინაალმდეგ, როცა თვით რუსეთის მართველი წრეების წარმომადგენელნი არამც თუ პასიურს, აქტიურ დახმარებასაც კი უწევდენ მას, და ბევრს წევრს ახლანდელი სამინისტრო კაბინეტისას დღესაც სასახელოთ მიაჩნიათ „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის წევრობა. იუსტიციის მინისტრს ხულიგანათ მიაჩნია ყველა ის, ვინც ადგილს ვერ შოულობს და ამგვარ ადამიანს იგი ექსი თვის სატუსაღოთი სჯის მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ თუ რომელი კატეგორიის ხალხს ეკუთვნის ის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ძალღონით „ინოროდცების“ შევიწროებას ცდილობს „ინოროდეც“—პედაგოგს ან მოსამართლეს „ინოროდცობისთვის“ ადგილიდან ითხოვს, უცხო ერის სიწმიდეს ტლანქათ შეურაცყოფს და ფეხით სთელავს? ვინ არის ან რა არის ასეთი ადამიანი თუ არ ხულიგანი და მერე რა ზომებია მათ წინაალმდეგ მიღებული? პირიქით, გადამგვარებელთა ასეთ მოქმედებას რუსეთის ბიუროკრატია აქეზებს, გუნდრუკს უკმევს და „ხულიგან“ მოხელეს უფრო მაღალ ადგილზე ნიშნავს, აჯილდოვებს. ხულიგანია და სამი თვით ისჯება ყველა ის, ვინ შეზარხოშებული რაიმე საზოგადო შეკრებილებაში გაერევა, მაგრამ პროკურორს კი, რომელიც სრულიად ფხიზელ „ჭიდს“ სილებითა და შეუსაბამო სიტყვებით უმასპინძლდება საზოგადო შეკრებილებაში, ჩინ-ტემლაკებით აჯილდოვებენ და უკეთეს, უმაღლეს ადგილზე გადაყავთ. იუსტიციის მინისტრის პროექტით ხულიგანია,—ვინც სხვის სახლში დაუპატიჟებლათ შედის და ამისთანა ადამიანი 3 თვით ისჯება, მაგრამ ნუთუ ხულიგანები და სასჯელის ღირსი არ არიან ისინი, ვინც დღისით ადმინისტრაციის თვალწინ ებრაელი ვაჭრის ოჯახს შეუბრალებლათ არბევენ, აწიოკებენ და სხვის საკუთრებას ანადგურებენ? რატომ ამათზე არაფერს ამბობს გარკვეულათ და ცხადათ ბ-ნი იუსტიციის მინისტრი? არა გვგონია რუსეთის მართველ წრეებს ნამდვილ ხულიგანთა ალაგმვა და ხულიგანობის გაქარწყლება ქონდესთ სახეში, თვარა რუსეთში ადგილი არ ექნებოდა იმ მომაკვდინებელ მოვლენებს, რომელიც ამ ჟამათ ხდება.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

აკადემიკოსი ნიკო მარი გუშინ გაემგზავრა ქუთაისიდან სვანეთს.

✦ გუშინწინ ვ. ნ. აბულაძემ ნოტარიუსობის ეგზამენი ჩააბარა და მალე იგი ქიათურას მიემგზავრება ამ თანამდებობის დასაჭერათ,

✦ ბატ. ვ. ძიძიშვილი დიდს მადლობას სწირავს ყველა იმათ ვინც მას გურიაში დახმარება აღმოუჩინა ხალხის გამაღარიბებელი ზნე ჩვეულებისა და აქედან გამოწვეული უაზრო ხარჯების მოსპობის ქადაგების დროს.

✦ სოფ. ვარძიაში სივრცით ორი ათას სამას დესეტინამდი მიწაა ქართველ მეფეთაგან საბერძნეთში კვიპროსის კუნძულზე მდებარე მონასტრისთვის შეწირული. ვარძია ზესტაფონიდან ოცი ვერსის მანძილზეა. დღეს ხსენებული მონასტრიდან ქუთაისს ბერძენი ბერი ჩამოსულა და ამ ვარძის მიწას ყიდის, მუშტარიც გამოჩნდა ვინმე ბერძენი ჩ-.. ვიო. რომელიც დესეტინაში სამ თუმანს იძლევაო. კერძო პირის ხელში ამოდენა მამულის ჩავარდნით, ცხადია, შევიწროვდებიან მკვიდრი გლეხები და დროით საჭირო ზომები მიიღონ და ნაწილ-ნაწილ თვით მკვიდრმა და გარემო მცხოვრებმა გლეხებმა შ იძინონ ეს ნოყიერი და დიდძალი მიწა—ტყე, სათოვარი, საყანე და სხ.

✦ „ვოლგა-კამის კომერციული ბანკის მართველი აბრამოვიჩი გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე.

✦ ამ ჟამათ აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მართველის თანამდებობას ი. პურაძე შვილი ასრულებს.

✦ კავკასიის სამთო სამართველომ შავი ქვის მწარმოებელს ი. ცქიტიშვილს ნებართვა მისცა სოფ. ჰერემისაში მადაროები მოთხაროს.

✦ მეფის მოადგილის თანამდებობის ამასრულებელს წარუდგა გურულ ბის დეპუტაცია მაზრის წინამძღოლის კ. ერისთავის მეთაურობით. დეპუტაციამ მეფის მოადგილის თანამდებობის ამასრულებელს გურიაში სამიწო გადასახადის შემცირება სთხოვა, რადგან გადასახადი მიწის რაოდენობას არ შეესაბამება.

✦ გუშინდელ ნუმერში ახალ ამბავში შეცთომით იყო მოხსენებული, ვითომ ზუგდიდის დეპუტაცია გერმანიას მიემგზავრებოდეს. დეპუტაცია პეტერბურგს მიემგზავრება, რადგან ოლდენბურგის პრინცი ამჟამათ პეტერბურგში იმყოფება. დეპუტაციაში შედიან: გ. დადიანი, დეკანოზი ევგენი შენგელაია და კ. ხვიტია.

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა 1000 მანეთი გადასდო მომავალ შემოდგომაზე თფილისში ხი... ულობის ფენა—იარმუკის მოსაწყობად.

✦ კვირას, 28 ივლისს, თფილისში დიდუბის ეკლესიაში ... გამავრცელებელი საზოგადოების ... ნობით ... სა ... წის ... გადაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

✦ ალავერდის ეპისკოპოზათ ... ხევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გერმანი ინიშნება.

✦ სწავლა-განათლების სამინისტრო ... წელს ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებითი სახალხო შკოლების საჭიროებისთვის 134 ათასი მანეთი გადასდვა. ერთკლასიან შკოლებს 700 და ორკლასიანებს 1,400 მანეთი მიეცემა თითოს.

✦ სამხედრო მფრინავის ცომაია ... დარს ამ დღეებში მოასვენებენ ქუთაისში.

## მოწერილი ამბავი.

**ს. ნახურცუ** (ოდიში). აქ არსებობდა აფთიაქი, რომელიც ხალხს დიდ სამსახურს უწევდა. ასეთი სასარგებლო ... წინაალმდეგ ზოგიერთმა ვაჟბატონმა გაილაშქრეს. გალაშქრებას შედეგათ მოჰყვა აფთიაქის დახურვა. სამწუხაროა, ... კერძო ინტერესებზე ატეხილ უთანხმოების სხვერპლათ საზოგადო საქმე ...

**დ. ონი** (რაჭა). ხშირათ მოდიან აქ ექსკურსანტები. ვინც ოსეთის სამხედრო გზის დასათვალიერებლათ მიდიან, ... ნიც ონში გამოივლიან ხოლმე. ექსკურსანტები ხშირათ დაახლოვებით არ ... ნობიან, ზერელეთ გადაავლებენ ხოლმე თვალს ჩვენს ცხოვრებას და ამის ... ხშირათ ცუდი შთაბეჭდილებით ... ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი ექსკურსანტი ხალხს გამყვლეფის სახელით ... ლავდა. ამ გარემოებას თავის მიზეზი აქვს და მიზეზების წინაალმდეგ ბრძოლა საჭირო. მგზავრი ბინას ვერ შოულობს ... სანოვაგის ყიდვის დროს მას მართლაც ატყუებენ ებრაელი ვაჭრები და ...ბი.

**ჩხარი.** (ზემო იმერეთი). სამინისტრო შკოლისათვის შენობის აშენებისა და ... წის ყიდვის შესახებ ჩხარის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა და ამშენებელი კომიტეტიც აირჩია. კომისიამ რამდენიმე ადგილას გამონახა შკოლის შენობის ასაგებათ მიწა. დაიბადა უთანხმოება ... შესახებ, თუ სად უნდა აიგონ შკოლის შენობა. სასურველია უთანხმოებას ბოლო მოეღებოდეს და შკოლა იქ იქნებოდეს აგებული სადაც საქმისთვის სასარგებლოა.

**სოფ. ბზვანი** (ქვემო იმერეთი). ... თანა ბუნებით უხვათ დაჯილდოვებული ... გარემოებებით დაჩაგრული მხარეა ... ნი, რომ კიდევ მოიპოვებოდეს სა...

# ცოტა რამ თვითმკვლელობის შესახებ.

ადამიანი ხედავს, რომ ყოველი სახე, ერთხელ ქმნილი, სამუდამოდ ქრება: ერთს გაანათებს მეტეორსავით, რომ მერე ბნელით მოცულ უფსკრულმა შთანთქას. იგი მხოლოდ ხედავს, რომ „მე“ „არამედ“ იქცევა, არსი არსად ხდება,—და მის თვალისწინ წამოიჭრება მსოფლიო, როგორც საშინელი მოჩვენება.. იგი სწყევლის ამ მართლაც წუთისოფელსა,—და ნაღვლობს თავის „მეს“ წარმავალობას, მის სრულებით აღკვეცას, ქვეყნიდან არსად გაქრობას“.. ამბობს გრ. რობაქიძე ერთს თავის წერილში.

ადამიანს აუწერელი სიყვარულით უყვარს სიცოცხლე, მიაჩნია ის დაუფასებელ საუნჯეთ; ავათმყოფობის დროს სიკვდილის საშინელი აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს და ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა სიკვდილის თავზარდამცემ ქარიშხალმა რაც შეიძლება გვიან მოგლიჯოს ის ცხოვრების ტანჯვის, მაგრამ მეტათ საინტერესო ხეს...

ისეთი მართლმორწმუნენიც კი, რომელთაც სააქაო მხოლოდ ტანჯვა-წვალებების ქვეყანად მიაჩნიათ და საიქიოს წარმოუდგენელ ნეტარებას მოელიან,—სიკვდილის წინ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და ძლიერ უმძიმთ აქაურ, თუ გინდ მწარე სინამდვილესთან, სამუდამოთ კავშირის გაწყვეტა..

და ნუთუ განცვიფრებაში არ უნდა მოგვიყვანოს ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც ადამიანი ძალათ თავის ნებით იკლავს თავს ესალმება წუთისოფელს?!.

მე მიყვარდა... მას არ ვუყვარდი—სწერს ერთი და მდინარეში თავს იხჩობს;

ჩვენ ერთმანეთი გვვიყვარდა, მაგრამ მშობლები ჩვენი ბედნიერების წინაალმდეგნი შეიქნენ—სწერენ ქალი და ვაჟი და ერთად ესალმებიან წუთისოფელს; სიყვარულის ცეცხლი მომეკიდა... მან ისარგებლა ჩემი სისუსტით... ბავში მეყოლა... შემდეგ მიღალატა... რაღა დამრჩენია... ყველა დამცინის—სწერს მესამე და თავს იწამლავს;

მე მღრღნის საშინელი ფიქრები... იმედები გამიცრუვდა... არ შემწევს ღონე კიდევ ვებრძოლო—სწერს მეოთხე და გაისმის დამბაჩის გრიალი;

ვერაფერი მესმის... ცხოვრება მომბეზრდა... ჩავარდი ისეთ ფარგალში, რომლის შუა ვტრიალებ, ვძრწი, ვეძებ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვნახულობ... კეთილო ადამიანებო! გამინათეთ, ცამანახეთ სიცოცხლე, მასწავლეთ ბრძოლა... მაგრამ ყველა ზურგს მაქცევს სწერს მეხუთე და გაისმის მდინარის შრიალი და ტალღების ცეკვა, კოცნა-ალერსი; ცხოვრება უკუღმართად არის მოწყობილი... უმუშევრათ დარჩენილს ცოლშვილი შიმშილით მეხოცება.., ვეღარ, ვეღარ გავუძელ მშიერი ბავშების საშინელ ტირილს ამბობს მეექვსე და გაისმის გულშემზარავი წივილ-კივილი უბედური ცოლისა, ობლათ დარჩენილი ბალღებისა;

შკოლის რეჟიმი, მასწავლებლის ჟინი დედ-მამის მუხრუჭები ნიშანი ორი!...

არა ღირს სიცოცხლე—სწერს მოსწავლე ფილოსოფოსი—ბავში, და უბედური მშობლები თოკზე ჩამოკიდებულს და თვალებგადმოვარდნილ პირმშოს თავზარდაცემული შეჰყურებენ.

და ასე მერვე, მეათე, მეოცე, მეასე. ძლიერ დიახ, ბევრი თავის ნებით ესალმება წუთისოფელს!.. ვინ იკლავს თავს?

როგორც ვიცით, ხშირათ იკლავს თავს უიმედოთ შეყვარებული. „სიყვარული ლტოლვაა მთლიანობისკენ, ლტოლვა ერთიმეორესთან იმ მიზნით, რათა აღდგეს პირველყოფილი ძლიერი ბუნება ადამიანისა. თითოეული ჩვენგანი არის მხოლოდ ნახევარი ადამიანი, და ყოველი ნახევარი ეძებს მეორე თავის ნახევარსო, ამბობს ნ. კ. მიხაილოვსკი. უკეთუ ადამიანის მიერ აღნიშნულმა მეორე ნახევარმა—„სატრფომ“ უარყო მისი „მე“, მას აღარ ძალუძს სხვასთან ერთობა და ეულათ და ობლათ მოვლენილი ეულათვე და ობლადვე ეთხოვება წუთისოფელსა... შეყვარებულნი ძლიერ ბევრს ფიქრობენ სიკვდილზე და თუ მიზანს ვერ აღწევენ, ხშირათ ისპობენ სიცოცხლეს. ერთად ერთვიან იქითა მხარეს ქვეყნიური არსებობისას, სადაც ყველაფერი ღამის წყვდიადშია გახვეულიო...

ვინ იკლავს კიდევ თავს?

საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი, ოჯახური და სხვ. უკუღმართ პირობების, მკაცრი რეჟიმის, დახავსებული ტრადიციების და მოუწყობლობის სხვერპლნი, რომელთაც საშინელი სინამდვილე სასოწარკვეთილებაში აგდებს; ირგვლივ ყოველივე შავ ძაძებში გახვეულათ ეჩვენებათ და ცხოვრებაში ვერავითარ კარგს ვერ პოულობენ... ყოველ შემთხვევაში, ულმობელი ცხოვრება მათ სრესს, მიწასთან ასსორებს, და იმათ კი საჭირო ღონე გასამკლავებლათ ვერ შესწევთ.

ცხოვრება ბრძოლაა, და ველი ამ ბრძოლისა დიდძალ სხვერპლს იწირავს.

ბუნებას, როგორც გვეუბნება დარვინის თეორია, არა ჰყავს რჩეულნი; აქ ის გასრეს დიად პატროკლს და დაარჩენს საზარელ ტერსიტს; ჩამოაქვეითებს პატროკლს ტერსიტის მდგომარეობამდი; იქ გამოაჩენს პატროკლს მთელი თავისი სიდიადით. იქ მოფენს სიცოცხლის ბრწყინვალე შუქს, აქ გახვევს ულმობელ სიკვდილის ზეწარში. აქ დასთესს მწუხარებას და ცრემლების ნიაღვარს, იქ დააქცევს სიტკბოებას და ბედნიერების ზღვასო, ამბობს იგივ მიხაილოვსკი. დიახ, ბუნება ულმობელია... მას მრისხანეთ და ამაყათ უჭირავს თავი და ცთილობს, რაც შეიძლება მაგრათ მოუჭიროს მუხრუჭი ადამიანის სხეულს, ცთილობს გასრისოს მისი პიროვნება, მიწასთან გაასწოროს მისი თავმოყვარეობა, ღირსება...

კაცობრიობის ისტორიული გზა მორწყულია ცხა ე ცრემლებით, გაჟღენთილია დანთხეული სისხლით, დაფარულია მილიონი ცხოვრების ბრძოლაში ძლეულ და „შეუგუებელთა“ გვამებით.. ამ გზაზე ძლიერ ხშირათ გაისმის შემაძრწუნებელი კვილი და წყევლა კრულვა...

მაგრამ ადამიანი ბრძოლის ველიდან სამარცხვინოთ კი არ უნდა გარბოდეს, არამედ მთელი თავისი ძალღონით ებრძოდეს ცხოვრების უკუღმართ პირობებს, ცთილობდეს მ ს გარდაქმნას, გაუმჯობესებას... მას თუნდაც მძიმეთ დატვირთულს, მაღლა უნდა ეჭიროს დროშა უკეთესი მოვალისა, „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიმავალი გზისა და გამარჯვებისა...

ის თავის ჭკუის, მოხერხების, ძალღონის და ღირსების შეგნებით ამაყათ უნდა ეომებოდეს ცხოვრებას, ბუნებას...

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ერთი დაკვრით ისპობს მინიჭებულ სიცოცხლეს და ისპობს ძალათ, თავის სურვილით...

და იბადება კითხვა:

რისთვის ცვლიან მშვენიერ ქვეყანას ბრწყინვალე მზით და ბადრი მთვარით ცივსა და ბნელ სამარეზე? რისთ... ეშურებიან საუცხოვო, თვალწარმტ... მწვერვალიდან წყვიადით მოცულ უფს... რულში? რათ არ სურთ ბრძოლა ს... ვარულის, მშვენიერების და უკეთესი მ... მავალის იდეალებისთვის? რათ გარბ... ან ბრძოლის ველიდან? რათ დაკარგ... რწმენა და ნდობა თავისა, სხვა ადამი... ნებისა? რათ ვერ იქონიეს მოთმინება... რასაც გვასწავლის უმაღლესი მორალი... ცხოვრების ფილოსოფია? რისთვის ისპ... ბენ სიცოცხლეს ასე ხშირათ ბავშები... როდესაც მათ ცხოვრებისა ჯერ არაფე... რი გაეგებათ და ბრძოლაც არ დაუწყ... ათ?

მისთვის, რომ თვითმკვლელებისთვის მზე არ ბრწყინავს, მთვარე არ ანათებ... ყოველივე ბნელითაა მოცული.

მისთვის, რომ მეტათ უკუღმართია შემაძრწუნებელი თანამედროვე სინამდვი... ლე, მეტათ ძნელია წმინდა დროშ... ხელში დაჭერა.

მისთვის, რომ ოცნების მშვენიერი სახლე დამსხვრეულია და ლამაზი მოსელი მხეცურათ შემოძარცული ტალახში ამოსვრილა,—ხელში გვაქ... მხოლოდ „გაცრუებული იმედები“.. თვის, რომ ადამიანის პიროვნებას არ არავითარი პატივისცემი, არავითარი ფასი...

მისთვის, რომ თანამედროვე სისტემის წყალობით თანამედროვე ... ავადებული საზოგადოება და ოჯახი ... ლევიან მხოლოდ დაავათმყოფებულ ... დასახიჩრებულ ელემენტებს...

მისთვის კიდევ, რომ საბრალო სხვერ... ლებს მეგობრულათ არავინ გაუწოდ... ხელი, არავინ დაეხმარა, არავინ გამო... ცხადა გულწრფელი, თფილი ... გრძნობა, რომელიც გაათბობდა ... ნულ სულს, გამოაცოცხლებდა ...

...ნებას კალთა სწორეთ აქ დაუბერტყია: ...მინდი, პური, ბამბა, ღვინო და სხვა ...ავალი მოდის ჩვენში, მაგრამ გასავალი ...ბარი ნაკლებია. ყიდვა-გაყიდვის საქმე ...ზო-უკვლოობის გამო წვრილ მოვაჭრე... რჩებს დარჩათ და მათ ხელში ოქროსაც ...ის ფასი აძევს. და წონაც განახევ...ებულია.

სწორეთ ასეთი ბედი უნდა ეწოდა ...ევანდელ ჩვენებურ პარკსაც, რომ სა... დროზე არ მიშველებოდა ადგილობ...ივი გულშემატკივარი პირები: დაარსდა ...ოგადო სასწორი და შესდგა მწონელ... კომისია, რომელიც ხალხს მართლ...ნას აწვდიდა ბევრს ეცადენ მოვაჭრეე... ამათი თავიდან მოშორებას პარკის მა...ნდის დაცემით, თუ სხვა რამ ხრიკებით ...გრამ ვერას გახდენ ბოლომდი ფასიც ...ა წონაც რიგიანი იყო. სიკვდილია, რომ ...ენებური პარკი წელს ქუთაისისკენ სულ ...ი წასულა, უფრო სამტრედიისა და ხო...ს ბაზრებზე საღდებოდა. მიზეზათ, მგო...ნი, ის იყო, რომ ქუთათური და ჩვენე...ური მაზანდა თითქმის ერთი იყო, ჩვენ...ში ფუთი პარკის ფასი ცხრამეტ მანეთამ...დე ავიდა.

## აკადემიკოსის ნ. მარის წერილი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ შემ...ხვევით წერილს ადგილი მისცეთ თქვე...ნს პატივცემულ გაზეთში. გუშინ თფი...ლისში „გვირგვინი“ ვიყიდე, სადაც მო...თავსებულია ბ-ნო მიხ. წერეთლის ნაწერი —„სიმერიული და ქართული“. ვისაც ამ საკითხის ისტორია ესურვება, დიდ კმაყოფილებას იგრძნობს, დიდის მადლო...ბით წაიკითხავს ახალგაზდა მეცნიერის ...ნებულ ნაშრომს. ამ მოკლე წერილში ...ემი აზრის გამოთქმა საჩქაროთ ახალ წაკითხულზე დიდ უსამართლობათ ჩამო...ერთმეოდა იმ გამოკვლევის მიმართ, რომელიც ჩანს ხანგრძლივი გულდადებული, ...ვით შეუპოვარი შრომის ნაყოფია. მხოლოდ ერთი შენიშვნის ზნეობრივი უფლება უნდა მომეცეს. რასაც ბ-ნი მ. წერეთელი ...ძანებს ქართულის სემურ ენებთან ნათესაობისას, ვითომ-და „ჩემი“ (განა მარტო „ჩემი“?) თეორიის დაგვარათ, დაფუძნებულია იმაზე, რომ ამ ადვილათ ხელწასაკრავი თეორიის ბეჯითი ცნობა არ აქვს ბ-ნ ავქსონს. მას აქვს შეთვისებული მხოლოდ „ჩემი“ თეორიის საზოგადო დასკვნანი და არა ის გზა, ის მასალათ დალაგება, ის საენათმეცნიერო ფაქტების განკლასოვანება, რომელიც გვაიძულებს გამოქვეყნებულ დასკვნათ და მხოლოდ იმ დასკვნათ უსაშველოთ მიღებას. ბ ნ ავქსონს არც ის შეუტყვია ჯერ, რომ „ჩემ“ თეორიაზე უკვე ახალი მეცნიერება არის აგებული იაფეტური ენათ შედარებითი ბგერათ მეცნიერება; რომ ცოტაოდენი ცნობა ჰქონოდა ამ ახალი დარგის, დარწმუნებული ვარ, ბ-ნ მ. წერეთელი აგრეწოდებული „ჩემ“ თეორიაზე გამოსალაშქრებულათ კალამს სარჯელს არ მისცემდა. რომ ჩემ უკვე დაბეჭდილ შრომათ სრული ცნობა ჰქონოდა ბ ნ მ. წერეთელს, არც იმას იტყოდა ხმა მაღლა, რაც გულში მოსვლია სათქმელათ, ვითამ ლუსმურ წარწერათ ენები უფრო დამცველი უნდა იყონ იაფეტურ ენათ ჯგუფის პირვანდელი სახის ან ხასიათის, მათში სემურობა უფრო ცხადი უნდა იყოს, ვიდრე ქართულში, რომელიც შედარებით შემდეგ მუშავდება ქრისტიანული მწერლობის განვითარებით. ასე ვფიქრობდი და ვსჯიდი მეც პირველში, შემდეგ გამოჩნდა, რომ აგეთი აზრი ყოვლათ უსაფუძვლო არის, სრულებით შეუწყნარებელია. პირიქით, ქართული ენა ლინგვისტური ბუნების მხრით უფრო პირვანდელი სახის მქონია, რადგან მისი მწერლობა ახალ აღორძინებულია შედარებით ლუსმურ წარწერებთან და არა იმ უკიდურესი ძველი ხანის განვითარების ქურაში გატარებულია. აგეთი ვითარება ცნობილია სემურ ენებშიც, სადაც მწერლობის სარბიელზე ყველაზე გვიან გამოსული სემური ენა, სახელდობ არაბული, ლინგვისტური ხასიათის სიძველეს გასაოცარი სიმდიდრით გვიყენებს წინ და სემურ ენათაგან უძველესი მწერლობითი ენა, სახელდობ—ასირიული ყველაზე უფრო განახლებულ ნაბიჯს წარმოგვიდგენს ენის განვითარებისას და თან აგრეწოდებულ „გარყვნისას“

**ნ. მარი.**

ქუთაისი. 13. 7. 25.

## კარგი საქმე.

ეს ერთი ხანია კავკასიის უმაღლესი მთავრობის ნებართვით ბ. ვ. ძიძიშვილი გურიაში მიმოდის და ძველათგან დარჩენილი ხალხური მავნე ზნე-ჩვეულების გადაგდებას ქადაგობს. ჩვენ მომხრე არა ვართ ტრადიციული კარგი ზნეჩვეულებათა მოსპობისა, მაგრამ, სამწუხაროთ დროთა ვითარების გამო ამ ზნე-ჩვეულებებმა ისეთი სახე და ხასიათი მიიღეს, რომ სჯობია მათი მოსპობა. მაგალითად ძველი ყაჩაღი, ჯირითი, ბურთაობა, თემობა, ახლანდელს რომ შეადაროთ, ზღაპრათ მოგეჩვენებათ. ბევრი სხვა ტრადიციული ზნეჩვეულებაც იყო ჩვენში, რომელთაც ეროვნული ელფერი ქონდათ, ზნეხასიათი იხატებოდა შიგ ხალხის... დღეს დამახინჯდა ყოველი და სიმახინჯეს, სჯობია, სულ მოისპოს და გადმოცემით-ღა ვიცოდეთ მათი ამბავი.

აქვე მოგვყავს პირი იმ ოქმისა, რომელიც რამდენიმე საზოგადოებას მიუღია და დაუმტკიცებია. ბ. ძიძიშვილი კვლავ განაგრძობს მუშაობას და ახლა სხვა საზოგადოებათ უნდა მიმართოს გურიაში. მისი სიტყვით გურიაში თუ ეს მავნე და დამახინჯებული ზნე-ჩვეულება მოისპობა, ხალხს დიდძალი სიმდიდრე შეეძინებათ..

აი გურიანთის საბოქაულოში რწმუნებულთაგან შემუშავებული ოქმიც:

1913 წ. ივლისის 21—22 დღეს ჩვენ ქვემორე ამისი ხელის მომწერნი მცხოვრებნი ოზურგეთის მაზრის გურიანთის საბოქაულოს არჩეულნი პირნი: მიქელ-გაბრიელის, ხვრბეთის, გურიანთის, ლეხაურის, შემოქმედის და დუაბზუს საზოგადოებათაგან, რიცხვით 17 კაცი ვიყავით შეკრებილი ნებართვით ბ. კავკასიის ნამესტნიკის და ქუთაისის გუბერნატორისა, თანდასწრებით ამ საქმის მომწყობის (ინიციატორის) ვარდენ ძიძიშვილის და და ადგილობრივი მამასახლისის შემოქმედების სასოფლო სამართველოში და ვიქონიეთ მსჯელობა შესახებ შემცირების მცხოვრებთა შორის ზედმეტი ხარჯებისა, როგორც ტირილზე (ქელეხზე), გათხოვისა და მოყვანის ქორწილსა, ნადის, ნათლობის და სხვადასხვა ჩვეულებათა. შემდეგ ჯეროვანი მსჯელობისა ამ საგანზე დავადგინეთ შემდეგი:

I.

1. მიცვალებულის დამარხვის დროს საყოველთაოდ მიცვალებულის პატრონის ოჯახში სასმელ-საჭმელი აკრძალულია.

2. სულის საქმეზე მოწვევა გარდა ღვიძლი ნათესავისა და გამასპინძლება აკრძალულია.

3. ორმოცზე, წლის თავზე სასმელ საჭმელი აკრძალულია, ხოლო ღვდელ მოქმედება სავალდებულოა.

4. მიცვალებულის დამარხვაზე ჯარით მისვლა, გვირგვინისა და კელაპტრების მიტანა აკრძალულია, ხოლო ნათესავებსა და გულშემატკივრებს შეუძლია 1. ღერი სანთლის მირთმევა არა უძვირეს 1 მან. ღვდელთ მოქმედება სავალდებულოა.

5. უკეთუ მიცვალებულის პატრონი ისურვებს მიცვალებულთა სამადლოთ რაიმე წვლილის გადადებას ერთი მანეთიდან რამდენიც ესურვება და იმ წვლილის გადადება სავალდებულოთ იქნება ყველასათვის, გარდა უკიდურესი ღარიბებისა.

II.

ნადის ხარჯის შესახებ დავადგინეთ: 1—ნადს (მუშებს) მიერთვას ორი ჯერი მასპინძლისაგან ვახშმათ მიდიან თავთავის სახლებში: თუ რიცხვით არ აღემატება სამ კაცს, შეუძლია მასპინძელმა ვახშამი სჭამოს თავის სახლში.

III.

ეკლესის დღეობაზე დავადგინეთ პირადათ და წერილობითი დაპატიჟება სტუმრებისა აკრძალულია.

IV.

ქორწინობისა და ნათლობის შესახებ დავადგინეთ. 1. გამთხოვმა პირმა წერილობით იწვიოს შემწეობის აღმოსაჩენათ მისგან დავალებული და მისთვის სასურველი პირები და დაუნიშნოს ადგილი, სად მიიტანოს შესაწევი ფული გარდა თავის ოჯახისა 20 დღით წინ 2. მილოცვა სავალდებულოა არა ნაკლებ ერთი მანეთისა, ანუ ვისაც რამდენი მეტი შეუძლია. თავის თავათ ცხადია, თუ არ სურს და არც ვალდებულია, სულაც არ მიულოცოს. 3. გამთხოვს ნება აქვს თავისი სახლში ქორწილზე მოიწვიოს 60 სული სტუმარი ამ რიცხვიდან ირჩევს 5-დან 10 მაყარს, ხოლო სასიძოდან არ უნდა აღემატებოდეს მაყარი 5—6 სულს. 4—უწინდელი მინალოცი დაუბრუნდეს პატრონს მის მოთხოვნილებისამებრ აღნიშნულ ქორწილის დროს ათი შაურის გამოკლებით. 5—ქალის მოყვანაზე და ნათლობაზე მილოცვა აკრძალულია. 6—თუ ვინმე იმათი არ დაკმაყოფილდება, რომ მას 60 სტუმარი არ ყოფნის იმას აკრძალულის მილოცვა და ფულით შემწეობა და ნება ექნეს რამდენიც სურდეს მიიპატიჟოს და გაუმასპინძლდეს სტუმრებს. 7—ახალი მინალოცი უნდა დაუბრუნდეს პატრონს უკლებლათ აღნიშნულ ქორწილის დროს. 8—ვისაც თავისი გასათხოვარი ქალი არა ყავს, ნება ეძლევა—გარეშე პირი მოიყვანოს მილოცვით ქორწილი გამართოს და გაათხოვოს ახალ წესზე. 9—იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ვალდებულმა პირმა მინალოცი არ დაუბრუნა პატრონს, გადახდეს მას ადგილობრივი ადმინისტრაციის საშვალებით მინალოცი ფული და 5 მანეთი ჯარიმა.

მინალოცი დაუბრუნდეს პატრონს, ჯარიმა მოხმარდეს საზოგადო საქველმოქმედო საქმეს. 10—ზემოხსენებული რომელიმე დამრღვევი პირი იხდის ჯარიმას 5 თუმანს. 11—ყველა ამ განაჩენის წესრიგიანი შესრულება ევალება ადგილობრივ ადმინისტრაციას და თითოეულ საზოგადოების წევრს. 12—ყველა აღებული ჯარიმები ადმინისტრაციამ უნდა გადასცეს შესანახათ საზოგადოების არჩეულ პირს კვიტანციის ქვეშ.

წესდება ესე შევიმუშავეთ ექვსი საზოგადოების რწმუნებულებმა და ყოველივე ესე წესები გამოეცხადოს ზემოხსენებულ საზოგადოებებს სრულ კრებაზე.

რასა შინა ხელს ვაწერთ: კრების თავჯდომარე ღვდელი ანტონ ცეცხლაძე, რწმუნებულნი: გრიგოლ დოლიძე, მიხეილ ხომერიკი, [illegible], პავლე სეფერთელაძე, [illegible] ტაძე, ბარნაბ [illegible], მიხეილ [illegible] ძე, პორფირე [illegible], [illegible] კვირკელია, კოწია დობორჯგინაძე, სამსონ ცხომელიძე, სიმონ სურგულაძე, ღვდ. სამსონ შავაშვილი, ალექსანდრე მეხათაძე, ქიშვარდი ურუშაძე, იოსებ ჩიტაიშვილი, ხელის მოწერას ამა რწმუნებულებისა ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა და სახელმწიფო ბეჭედითა ივლისის 22 დღეს შემოქმედის მთავრობის მამასახლისი

**პავლე მაჭავარიანი.**

## რუსეთი.

**ახალი სამინისტროები.** ფოშტა-ტელეგრაფის საქმის სწრაფმა განვითარებამ და რკინის გზების გამრავლებამ დაბადა ორი ახალი სამინისტროს დაარსების სურვილი. განზრახულია დაარსონ რკინის გზის და ფოშტა-ტელეგრაფის საქმეთა სამინისტროები. დღევანდელ გზათა უწყის სამინისტროს მაშინ გზათა და სახალხო სახლთა სამინისტრო დაერქმევა.

**სამხედრო ბეგარა.** სახალხო განათლების მინისტრმა საშვალო შკოლის დირექტორებსა და უმაღლეს შკოლის რექტორებს აცნობა სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ ახალი კანონი 1913 წლის 1 დეკემბრიდან შედის ძალაშიო. ვინც დამატებითი ვადას თხოულობს მათი საქმე გაირჩევა დღევანდელ კანონების მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ თხოვნას 1 დეკემბრამდი წარმოადგენს.

**ტერორისგან დაზარალებულთათვის პენსია.** შინაურ საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ტერორისგან დაზარალებულ პოლიციელთა ობლებისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ. სამინისტროში ამ პროექტის წინააღმდეგი არავინაა, ხოლო მას მაინც ვერ განახორციელებენ, ვინაიდან მისი განხორციელება დიდ ფულს თხოულობს.

**კანონპროექტი.** რუსეთის ბევრ ადგილას ხულიგნობა ძლიერ გავრცელდა. სწვავენ სახლებს ამტვრევენ ფანჯრებს და სხვა. ხულიგანთა დასჯის შესახებ მთავრობამ კანონპროექტი შეიმუშავა. იუსტიციის სამინისტრომ ეს კანონპროექტი შინაურ საქმეთა სამინისტროს გადასცა. ამ უკანასკნელმა გუბერნატორებს გაუგზავნა და სთხოვა გადაეცით განსახილველათ საგუბერნიო და სამაზრო საკრებულოებსაო.

---

ერ იდეალების დამჭკნარ ყვავილებს, და ასწავლიდა საზოგადოების საკეთილდღეოთ მოღვაწეობას, ჩაუნერგავდა რწმენას, აღადგენდა ადამიანებისადმი და ბრძოლისადმი სიყვარულს, შემატებდა ენერგიას, შეაყვარებდა სიცოცხლეს...

დიახ, ბევრი, ძლიერ ბევრი მიზეზი აქვს თვითმკვლელობას... ცხადია ისიც, რომ მის გახშირებას ხელს უწყობს წაბაძვაც, რაც საუცხოოთ დასაბუთებულია მიხაილოვსკის ნაწარმოებში—„გმირი და ბრბო“ და „პატოლოგიური მაგია“. ამით აიხსნება ის, რომ თვითმკვლელები ხშირათ ერთსა და იმავე ადგილას იხრჩობენ თუ იკვლენ თავს, ერთ და იმავე სამრეკლოდან ვარდებიან, ერთსა და იმავე პირობებსა და გარემოებაში ისპობენ სიცოცხლეს...

ორიოდე სიტყვა იმის შესახებაც, თუ როგორ უყურებს მეცნიერება თვითმკვლელობას.

თვითმკვლელობა ხდება აფექტაციის, ადამიანის გადაჭარბებული აღელვების დროს. თვითმკვლელობა არის „ტვინის მოქმედების გამოხატულება, რომელმაც თავის არანორმალობის უმწვერვალეს საფეხურს მიაღწია,—და ყოველივე არანორმალური კი მედიცინაში პატოლოგიას ეკუთნისო, ამბობს პროფ. გვოზდევი. ფსიხო-ფიზიოლოგიური თვალთა ხედვით თვითმკვლელობა არის შედეგი ტვინისა და მისი ფუნქციების არანორმალური მდგომარეობისა. ჩვენი ნება დამოკიდებულია ნების ცენტრების მდგომარეობაზე, და თუ ტვინის მოლეკულიარული მოქმედება დასუსტებულია, მაშინ დასუსტებულია თვით ნებაც.

საბრალო ადამიანი სუსტი ნებით დაჯილდოებული და მწარე ფიქრებით შეპყრობილი სასოწარკვეთილებაში ვარდება; ერევა შავი ფიქრები, მწარე ნაღველში გალესილი და ეს მისი ფიზიკური და სულიერი საწამლავია; შავს ზეწარში გახვეული ქვეყნიერება მას საშინელ მოჩვენებათ მიაჩნია და ეს ფეხ-ქვეშ ნიადაგს უცვლის, სიცოცხლეს უმძიმებს... უმთავრესი საცხოვრებელი ცენტრი—ნება დასუსტებულია და ფიქრი თვითმკვლელობის შესახებ დაუბრკოლებლივათ ვითარდება დაავადმყოფებულ ტვინში, ამბობს ი. მ. რადეცკი.

ამიტომ არის, რომ თვითმკვლელები უფრო ხშირათ ახალგაზდები გამოდიან, რადგან ამათ, ამ ნორჩსა და გამოუწვრთნელ გაუფოლადებელ და სუსტფესვებიან არსებათ ცხოვრების ქარიშხალი უფრო მძლავრათ არხევს და უფრო ადვილათ გლეჯს ხოლმე.

ერთის სიტყვით, თვითმკვლელობის აზრი მხოლოდ აზრათ დარჩება, თუ არ მოიპოვა საჭირო ფიზიოლოგიური ნიადაგი. განა ძლიერს, კარგათმყოფსა და მაგარი ხასიათის ადამიანებს არაოდეს არ უფიქრიათ ცხოვრების უმიზნობაზე, დაუსრულებელ ტანჯვაზე, თვითმკვლელობაზედაც კი,—მაგრამ თავი არ მოუკლავთ და დარჩენილან საცხოვრებლათ და საბრძოლველათ?!.. და სრულიად უსაფუძვლოთ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთების აზრი, თითქოს თვითმკვლელობა მაგარი მტკიცეს ხასიათის გამოსახვა იყოს. ისტორიამ იცის მრავალი მებრძოლი და გმირი, რომელნიც სიმართლისთვის, იდეისთვის და უკეთესი მომავლისათვის სახჩობელაზე თამამათ ადიოდენ; ცხოვრების გარდასაქმნელათ, ცუდი მდგომარეობის და პირობების გასაუჯობესებლათ ბრძოლის ველიდან არ გარბოდენ, არამედ იბრძოდენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდი... გმირობა ეს არის, რადგან ასეთი ბრძოლა ხანგრძლივი და ძნელია, თვარა რა გმირობაა ერთი წუთით ,,გმირობა'' —ჩახმახის თითის გამოკვრა?!

თვითმკვლელობა გმირობა არ არის, პირიქით—სიმხდალეა, საბრძოლველი იარაღის დაყრა, სამარცხვინო გაქცევა... უკეთუ ნამდვილი გმირობა თაყვან-საცემია, ასეთი „გმირობა“ დასაგმობი, გასაკიცხია...

თვითმკვლელი გაკიცხვის ღირსია, რადგან ის საზოგადოებას ერთ წევრს აკლებს, რომელსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა მის წინსვლაში და ცხოვრების გარდაქმნაში (თუ საზოგადოების მავნე პიროვნება იკლავს თავს, აქ სამწუხარო და გასაკიცხი არაფერია).

თვითმკვლელობა რომ ყოვლად შეუწყნარებელია, იქიდანაც სჩანს, რომ დიდს უმრავლესობას პირველი ცდისა და გადარჩენას შემდეგ, სიცოცხლის მოსპობის განზრახვა სისულელეთ მიაჩნია.., ეს გადარჩენილებს, მაგრამ დანარჩენებისთვის, ხომ ,,სიკვდილს შემდეგ სინანული გვიანდაა“...

„თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა'' ო—ამბობს უკვდავი შოთა, და ჩვენც იგივე უნდა განვიმეოროთ. მხოლოდ მარტო განმეორება არ კმარა...

დაავადმყოფებულმა საზოგადოებამ უნდა ეცადოს განიკურნოს, მოსპოს ის პირობები, რომლებშიც თვითმკვლელობა ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს, ეცადოს თავის შვილებს ბრძოლა დაასწავლოს, სიცოცხლე შეაყვაროს, გამოიჩინოს მეტი თანაგრძნობა, მეტი სიყვარული ახლობლებისადმი და მოძმეებისადმი; ეცადოს ადამიანის პიროვნება უმწვერვალეს ხარისხამდი აამაღლოს, რათა მას იმდენი პატივისცემით მაინც ეპყრობოდენ და აფასებდენ, რამდენიც საჭიროა, რომ ძალათ წართმევა, თუ თავის სურვილით მოსპობა ერთხელ მინიჭებული სიცოცხლისა ყოვლათ შეუძლებელი გახდეს.

რამდენათ მეტი ჯანსაღია საზოგადოებრივი ორგანიზმი, იმდენათ უფრო შემცირებულია რიცხვი თვითმკვლელებისა. რამდენათ მეტი აუტანელია ცხოვრების პირობები, ძლიერია დესპოტიზმი—ოჯახური სახელმწიფოებრივი თუ სხვა და რამდენათ ცუდ ნიადაგზეა დაყენებული ახალგაზდობის აღზრდის საკითხი, იმდენათ უფრო გახშირებულია თვითმკვლელობა...

„Mens sana iu corpore sano“...

ახლა მინდა ორიოდე სიტყვით პირუტყვთაც შევეხო.

სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრებაზე თფილისში პროფ. კოლცოვმა მოხსენება წაიკითხა, სადაც აღნიშნა, რომ ოქრომჭედელ კრალის ცხენებს შესწავლილი აქვთ კითხვა, ანგარიში და არითმეტიკული ამოცანების ახსნა. ამ ამბავმა მეცნიერთა წინაშე საკითხი დასვა ცხოველების დამოუკიდებელი აზროვნების შესახებ.

საუბედუროთ ჯერ ცხოველთა და ფრინველთა ჭკუა-გონება, აზროვნება, სულიერი განცდა, მოქმედება და საერთოდ ფსიხოლოგია ჯეროვანათ შესწავლილი არა გვაქვს, თვარა მეტათ საინტერესო ცნობებს მივიღებდით. მაგ., ცხოველთა შორის თვითმკვლელობის საკითხს მეცნიერებაში არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული. გამოჩენილ პროფ. სიკორსკის ფსიხოლოგიის იმ თავში, სადაც ცხოველთა და ფრინველთა ფსიხოლოგიას, სულს და თვისებებს არჩევს, თვითმკვლელობაზე არაფერი აქვს ნათქვამი და მის მიერ გამოთქმულ აზრებიდან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ თითქოს ცხოველების უფრო ჭკვიან წარმომადგენლებსაც კი ისეთი რთული ტრაგიული განცდა, რომელიც თვითმკვლელობას იწვევს, არ შეუძლიათ... ნამდვილათ კი ეს ასე არ არის.

ი. მ. რადეცკი ერთ ადგილას სწერს: ,,ამბობენ, ერთმა ძალმა ჯავრისაგან წყალში თავი დაიხჩო“-ო. მე მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ნათელ ჰყოფს იმას, თუ რამდენათ გრძნობიერია ჭკვიანი ცხოველი და რამდენათ ტრაგიულია მისი სულიერი განცდა.

ჩვენ გვყავდა ერთი ფინია-ძაღლი, რომელიც გვიყვარდა, ვეთამაშებოდით ვეალერსებოდით; ცნობილია ძაღლის ერთგულება და პატრონის სიყვარული, და ამ ფინიასაც ძლიერ უყვარდით. მაგრამ, დახეთ უბედურებას! მეორე ლამაზი ლეკვი შევიძინეთ და ახლა მეტი ყურადღება მას მივაქციეთ, მეტი ალერსი მას დავუწყეთ...

ეს ფინიას, ეტყობოდა, არ მოსწონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაუწყერით, ლეკვს აღარ ერჩოდა, მხოლოდ ძალიან დანაღვლიანდა კი, როდესაც ლეკვს თამაშს დავუწყებდით, ის დაწვებოდა მოშორებით და ისეთი შურიანი თვალებით უცქეროდა მას, რომ გაოცდებოდით... მალე ფინია საშინლათ დამწუხრდა და საჭმელზე გაგვეფიცა: რას არ ვაძლევდით, როგორ არ ვეხვეწებოდით, მაგრამ ლუკმას არ აიღებდა... გახდა, ჩამოხმა და პირდაპირ შიმშილით თავი მოიკლა.

საკმარისია სახეში კრალის ცხენები და ეს ფინია ვიქონიოთ, რათა ცხოველებს მეტის ყურადღებით მოვეპყრათ. ასეთი მაგალითების შეკრება და გამოკვლევა საჭიროა და მაშინ, იძულებული ვიქნებით ცხოველთა სულიერ თვისებებს უფრო ღრმათ ჩავუკვირდეთ და მათთვის ახალი ფსიხოლოგია შევადგინოთ.

**ვ. კაკაბაძე.**

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровые балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი**
# ი. გოკიელის
**ქუთაისში.**

შვილების

ნარზანი და ესენ-ტუკი № 20

| ბორჯომის წყალი | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ბოთ...) |
|---|---|---|---|
| ½ | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| ½ | [illegible] | 1 მ. 50 კ. | [illegible] |
| ½ | [illegible] | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |

## უცხოეთი.

**მემკვიდრეობა.** ბერლინის გაზეთების ცნობით, მემამულე კნორს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა, იმპერატორ ვილგელმისათვის მალიანის მემკვიდრეობა დაუტოვებია, იმ პირობით თუ მის ქვრივს მზითს და წლიურათ რვაას მარკას მისცემს. იმპერატორმა განსვენებულის სურვილის თანახმათ ეს ფული უნდა დახარჯოს ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლათ. კნორმა თავისი ქონების ნახევარი ნაწილი მამისგან მიიღო და ნახევარიც თვითონ შეიძინა.

**ქალთა რევოლუცია.** ლონდონში სუფრაჟისტ ქალებმა გაიგეს თუ არა, რომ მათი ხელმძღვანელი სილვია პანკჰერსტი დაუპატიმრებიათ, შეიკრიბენ ტრაფალგარის მოედანზე და გასათავისუფლებლათ საპატიმროსკენ გასწიეს. პოლიციის სამართველოს წინ სუფრაჟისტები ჟანდარმებმა გააჩერეს და 25 მათგანი დააპატიმრეს კიდეც. აქ სუფრაჟისტებს პოლიციელებთან შეტაკება მოუხდათ.

**ემიგრაცია.** ვანიდან წარსულ წელს 650 სომეხი წასულა. ემიგრაცია წელს კიდევ უფრო გაძლიერებულა. აპრილსა და მაისში 240 სომეხს დაუტოვებია ვანი.

**საკანონმდებლო მუშაობა და ქალები.** კალიფორნიაში ქალებმა საკანონმდებლო უფლება მიიღეს და ამ ასპარეზზე მუშაობაში დიდი ენერგიაც გამოიჩინეს. კონსერვატორებმა მანიფესტი გამოსცეს და აცხადებენ ქალები გაგიჟდენ და პარლამენტის საქმეში ანარქია შეიტანესო. ერთ სესიაში 4000 კანონპროექტი განუხილავთ და 1103 მიუღიათ.

**ლორდთა პალატის გაუქმება.** ლოიდ ჯორჯმა თავის ამრჩევლების წინაშე განაცხადა: პარლამენტის მომავალ სესიაში მთავრობა შეიტანს კანონპროექტს დღევანდელ ლორდთა პალატის გაუქმებისა და ახალის, უფრო მეტი დემოკრატიულ პრინციპზე აგებულ პალატის, მოწვევის შესახებო.

## ბალკანეთის ამბები.

**მეორე ბალკანეთის ომში დახოცილები.** მეორე ბალკანეთის ომში სერბიას მოუკლეს 25 ათასი კაცი, ჩრდილოეთის ჯარსაც 5—6 ათასი. ამას გარდა რამდენიმე ათასი მოკვდა სხვადასხვა ავათმყოფობისგან. ბევრი ისხვერპლა ხოლერამ, ხოლერა ჯარში დღესაც მძვინვარებს. დაკარგეს აგრეთვე ბერძნებმა 16—18 ათასი, მთაშაველებმა კი 12 ათასი კაცი. სულ ამ მეორე ძმათა სისხლის მღვრელმა ომმა ისხვერპლა, 50 ათასი კაცი. ბულგარეთს ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა. ივლისის პირველ ნახევარში 30 ათასი ბულგარელი დაჭრილი ჯარისკაცი საავათმყოფოებში იწვა. ბრეგალნიცას ბრძოლის ველზე ეყარა 12—13 ათასი კაცი. ივანოვის ჯარმა, ბერძნებთან ბრძოლაში, 20 ათასი კაცი დაკარგა. ბერძნებმა ტყვეთ წაასხეს აგრეთვე 8 ათასი ბულგარელი. საერთოდ ბულგარლებმა 40 ათასი კაცი დაკარგეს.

**ოსმალეთის პირობა.** ოსმალეთი თანახმაა ადრიანოპოლი დაუთმოს მოკავშირეებს შემდეგ პირობებში:—თუ დიდი სახელმწიფოები თანახმა გახდებიან, რომ ოსმალეთში შემოსატან საქონლის სადამოჟნო გადასახადი ოთხი პროცენტით გაადიდდება; თუ ენოს-მიდიის საზღვარი ისე დაიდება, რომ ოსმალეთი მიიღებს აიროზოლს და ლიულე-ბურგასს და თუ ჯარის ევაკუაციის საქმეში დახმარებას გაგვიწევენო. ოსმალეთის პირობას განიხილავს დიდი სახელმწიფოები.

**ოსმალები ინგლისში.** გენერალი ოსმან-ნიზამ-ფაშა მთავრობის დავალებით ინგლისთან მოსალაპარაკებლათ ინგლისში გაიგზავნა. ოსმალები თავის ტერიტორიის დასაცავათ დიპლომატიურათ მოქმედებენ. მათ უნდა დაეხმაროს ინგლისი და ამის შესახებ მოლაპარაკებაც აქვთ გამართული. გერმანიამ დახმარება უკვე აღუთქვა. ავსტრიის თანაგრძნობაც ოსმალეთისკენ არის, თუმცა ამას აშკარათ არ ამბობს.

## ზემო-იმერეთი.

**სოფ. ხონი.** აგრეწოდებული „ლოსიანთხევი"-ს მხარეში ნაკლებათაა შკოლები და სხვა კულ.—გან. დაწესებულებანი, მხოლოდ ერთადერთი კიცხშია ორკლასიანი სამინისტრო შკოლა ამ თუთხმეტიოდე წლის წინათ დარსებული. წელს გაიხსნა ამავე სოფელში ადგილობრივ მასწავლებელთა მეოხებით შემნახველ-გამსესხებელი კასა. კიცხის საზოგადოების დანარჩენ სოფლებში, როგორც მაგალითად: ხონსა, ლახუნდარასა, წყალოფორეთსა, ვარძიასა და კიდევ სხვებში ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელიც არ არსებობს. ადგილობრივი ცხოვრება, როგორც იტყვიან, ბნელით არის მოცული. მაგრამ არც ეს სოფლები ყოფილა უპატრონოთ დარჩენილი. სოფ. ხონის მემამულემ, პატივცემულმა არჩილ მაჭავარიანმა, ამავე სოფლის მოძღვარმა დავით კვიჟინაძემ და ლახუნდარის ღვდელმა პორფილე კავილაძემ განიზრახეს გახსნან ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი ხონისა და ლახუნდარას საზღვარზე. შკოლისათვის მიწას უფასოთ იძლევა არჩილ მაჭავარიანი; და აგრეთვე, თუ შკოლას სამეურნეო განყოფილება ექნა, ბაღის გასაშენებლათ და სავარჯიშოთ კიდევ ცალკე ნაჭერს სწირავს ეს პატივცემული პირი. შკოლა გაიხსნება ხონისა და ლახუნდარასთვის, თუმცა სხვა სოფლის ბავშთაც უფლება ექნებათ ისწავლონ აქ. ამ კეთილი საქმის დასაგვირგვინებლათ ხონისა და ლახუნდარის მრევლიდან მხოლოდ სამოცი მრევლი იღებს თავის წვლილს; დანარჩენი ნაწილი კი დამხმარების მაგივრათ ხელისშემშლელათ გამოდის. შკოლისათვის ისეთი ადგილია არჩეული, საიდანაც კიცხის საზოგადოების სოფლები, ბ შორაპნის და ზესტაფონის მიდამოები ხელისგულივით იშლება. ზემოხსენებული პირები უკვე შეუდგენ შესაფერი შენობის შეძენას და მალე თხოვნითაც მიმართვენ სათანადო მთავრობას ნებართვის ასაღებათ. ვუსურვოთ მათ, ეს კეთილი განზრახვა საქმეთ ექციოთ.

**კოლია.**

## უკანასკნელი წინადადება
### ბ. „აპას"

„იმერეთის" მე 94 ნუმერში მე გამოგვიწვიეთ საამხანაგო სამართალში და გთხოვეთ დაგესახელებიათ მედიატორები, თქვენ კი როგორც ჩანს თქვენი პასუხიდან გინდათ გვერდი აუხვიოთ ჩემს წინადადებას და ლობეყორეს· ედებით. გაიძახით—მართალი ვარო, მაგრამ დამერწმუნეთ ეს წინასარმეტყველობა ნაადრევია. და ვეუცადოთ საამხანაგო სამართალს და გამარჯვება შემდეგ იდღესასწაულეთ: რაც შეეხება იმას, ვითომ ჩემი მხრით მოწმეებს რაიმე საფრთხე ელოდეს, ესეც თქვენგან განზრახ შეთხზული ჭორია. თქვენ კარგათ იცით, რომ იმგვარი თანამდებობა არ მიჭირავს რომ შემეძლოს ვისიმე მიღება ან დათხოვნა. აგერ შვიდ წელიწადზე მეტია, რაც აქ ვმუშაობ და ერთ მაგალითს ვერ დამისახელებთ, რომ ჩემი მიზეზით ვისმე ადგილი დაეკარგოს. და თუ ეს აქ მოიხსენიეთ, ვიმორებ, გსურთ საამხანაგო სამართალი რამეფრად აიცილოთ. მე მტკიცეთ ვადგივარ ჩემს პირველ წინადადებას:—თანახმა ვარ თქვენ რწმუნებულათ ან პირის პირ შეთანხმებით ავირჩიოთ მედიატორები. მხოლოდ შემდეგი პირობებით 1) ბ. გაბო ბოჭორიშვილს რწმუნებულათ ნუ დანიშნავთ. რადგან ის მე მოწმეთ· მჭირია, 2) ხვედრი ფული წინდაწინვე გადავცეთ ჩვენ მედიატორებს საქმის გარჩევის დაწყებამდი 3) განაჩენი გაზეთში უნდა გამოცხადდეს. თუ თქვენმა რწმუნებულმა ერთ კვირაში ჩემთან საქმე არ გაათავა, მაშინ იძულებული ვარ ოფიციალურ სასამართლოს მივმართო და ჩემი შეურაცყოფილი სახელი იქ აღვადგინო.

**ალექსანდრე ბოჭორიშვილი.**

რედაქტორ გამომცემელი გ. ჭელიძე.

## გარეშე ცნობა.

რადგან ჩვენი რედაქციები ვერ დარწმუნდენ, რომ ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკის და მისი გამგის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი კაცი მოქმედებს და პირადი ინტერესებით იხსენიებენ ცუდათ და მაინც ადგილს აძლევენ ისეთ წერილს, როგორიც არის გაზეთი „ახალი აზრის" მე-9 ნუმერში, ამისთვის ვაცხადებ პრესისა და საზოგადოების საყურადღებოთ იმ მიზეზებს, თუ რით ვარ ცუდი გამგე: 1. ჩემმა ადამიანურმა მოპყრობამ გაადიდგულა თანაშემწე გუჯაბიძე და ბატონობა მოინდომა. 2. ვერ მოვახერხე ეჩუქებია მისთვის ქალაქის გამგეობას 40 მ. 3. ვერ მივეცი ნება გაეცა მის სახელზე უფასოთ 20—30 წიგნი. 4. ვერ ვაწვევინე ბიბლიოთეკის შეშა და ნავთი მის ოთახში. 5. ვერ ვიყიდე მისი ქართული წიგნები ბიბლიოთეკისათვის, რადგან კომისიამ ნება არ მომცა. 6. ვერ ვაძლიე სესხათ 20—30 მან; რაზედაც უარის თქმისაც არ შერცხვებოდა თურმე. 7. ვერ მოვითხოვე მისი ბძანებით მეორე თანაშემწეთ მაინცდამაინც ქალი, რადგან საქმისთვის პატარა ბიჭი იყო უმჯობესი. 8. გაუცხადე ქალაქის გამგეობას, რომ იმან ამ ბოლო დროს დაიწყო იმ ფულების ჯიბეში ჩადება, რომელიც შემოქონდათ მკითხველებს ჩემი ბიბლიოთეკაში არ ყოფნის დროს და ამის ანგარიშს თავის დროზე არ მაბარებდა.

ქუთ. ქალ. ბიბლიოთეკის გამგე ჭელ. დარიას ასული.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. [illegible]; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5[illegible] საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშ[ტ.] 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 [წ.] საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. [illegible]

**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1[illegible] საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია

აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა
იზმაილოვის პროსპ. № 27
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ. 1896.
კბილის ელექსირი
უმღრესი ღირსების.
როგორც საამო სუნელოვანი და მარგე ნივთიერებისაგან შეზავებული კბილის ელექსირი ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა გახდა ტუალეტის უსაჭიროეს საგნათ. კბილის პარაშოკი და კბილის პასტა (ნაყოფის წვენიდან შეზავებული კბილის გასაწმენდი წამალი) იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
„პატოკსან".
„პატოკსან" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ." თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

აბანო
ძმ. ყორყოლაძეებისა
მიმართეთ ჰირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი. შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი.

გ. გორდამის და ს. წერეთლის
ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ქურქლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-სასტამბო ფირმისა და კარნაუხოვის ქუთაისში.